



№ 11

29 მარტი 1915 წ.

მიიღება ხელის მოწმობა
გაზეთისთვის

წლიური ფასი

≡ 5 მან. ≡

ყოველ კვირეული საზოგადო-ეკონომ-

იური და სალიბერატურო შუხნალი


წელიწადი მერთხე

ცალკე ნომერი 10 კაპ.

რედაქცია ღიაა 9—3 საათამდე.

მისამართი: თბილისი, Габаевский пер. № 3 რედაქცია „კლდე“. დეპეშისა: თბილისი კლდე.

F 652



გერმანელებისაგან გაფუჭებული, გზა პოლონეთის ასპარეზზედ.

1. ომი და ჩვენი მომავალი. — ქართლელისა 2. „ქართლი“ და „კახეთი“. — რ. გ. — სი. პ. გვირგვინი. — თ. იანელიისა. 4. უზრუნველ ქართველის დღიურები. — გ. ი. აბ—ელისა. 5. გამოქვეყნება. — რ. გ. — სი. 6. სხვა და სხვა ამბები. 7. თავადი შავ-დე (შოთხ.) — მარ. გარიყულისა. 8. რუსული პრესა. 9. სამკურნალო უწყისი. 10. შრომინტის ცხოვრება. ი. იმერელისა.

ომი და ჩვენი მომავალი

ჩვეულებრივი მიმდინარეობა კაცობრიობის გონებას აბრუებს, სიმკვირცხლის უნარს უკარგავს, პირიქით, როდესაც მოძრაობაა, სიცოცხლე ლაღდება, გონება ფრთებსა ჰშლის და ზევსური ძალით იმოსება კვლავ სასიცოცხლოდ, კვლავ ცხოვრების კოკრების გასაფურჩინად. დღევანდელმა ომმა, მართალია, მებრძოლ სახელმწიფოებს საშინელების აჩრდილი წარმოუყენა თვალწინ, მაგრამ საშინელება იგი რამდენადაც შემზარავია, რამდენადაც მკაცრი და უღმომბელია, იმდენად უფრო თვითეულ მხარეს აწყურებს სიცოცხლეს, თავდაცვის აღლოც გენიოსობის ძალას იჩენს, ზეკაცურს გამჭრიახობას, რომ მეტოქე დასცეს და მისი ადგილი დაიკავოს. აბა გადაჭედეთ მებრძოლ მხარეებს: მთელი გერმანია, ეს კოლექტიური ნაპოლეონი, როგორც ეს მშვენივრად დაახასიათეს ფრანგებმა, დღეს რკინის გალიას ამტვრევს და ღრმადია დარწმუნებული, რომ მარები არ უღალატებს. გადულოცავს თავის ჩაფხუტს და გამარჯვების ცისარტყელას შარავანდედად შემოაგვლებს თავზე! მათის აზრით ეს იქნება თითქმას უკანასკნელი ომი, ომი, რომელიც მიანიჭებს თავისუფლებას ყოველს ერს, ყოველს დაჩაგრულს და მის ჰეგემონიის ქვეშ დამყარდება საერთაშორისო მშვიდობიანობა! მაგრამ არა ნაკლებ ასევე ინგლისი და საფრანგეთი! რა ვუყოთ თუ ყოველ დღე ერთს გემები ეღუბება, ხოლო მეორეს — ტერიტორია! სწამთ, გულწრფელად სწამთ, რომ გაიპარჯებენ, ბელგიას გაანთავისუფლებენ,

მაგრამ რა გვესაქმება, თუ წინასწარმეტყველნი რას იტყვიან საქმე ის არის, რომ ამ ომმა ყველა გამოაფხიზლა ყველა ჰგონობს, რომ ეს ის მომენტი, როდესაც დიდიც და პატარაც ერთის სახით ეთამაშება სიკვდილს. ვის მოხვდება პირველად მახვილი, — აი ყველას საზრუნავი, აი, რისთვისა ფარიკობს ყოველი ერი, რისთვის ემზადება, რომ მარჯვედ იყვეს, უბრალოდ არ წახდეს.

ამ ამბავის მაკქერალს თქვენც გატაცებთ ერთგვარი ცნობისმოყვარეობა და ეკითხებით თავს: რას ჰფიქრობს ჩვენი სამშობლო, საქართველო, საითაა მიმართული მისი ზრუნვისა და ოცნების ისარი? მაგრამ დაჰხედავთ სურათს თუ არა, სინამდვილე შეგზარავთ: არ არის ქვეყნიერებაზე ერი ისე უღარდელი და დარდიმანდი, როგორც ქართველობა. პოლიტიკური უმწიფობა სწორ უბოვარ ბავშვის გულუბრყვილობამდე ჩამოდის. საოცარია, ერი მთელის თავის წარსულით მუდამ ასეთი ბავშვი როგორ გადურჩა ისტორიულ ქარტყილებს? ისე მოსჩანს, თითქოს ერს სიცოცხლის უნარი დაჰკარგვია, საკუთარს ტკივილებს ისე გაუბრუებია მისი გონება, ისე შესჩვევია წამების გვირგვინის ზიდვას, როგორც ჩვენი ზღაპრული ამირანი მყინვარის მწვერვალზე ყვავ-ყორანთა მიერ გულ დვიძლის ფლეთვას! ჩვენ ოდნავ არ გვაკთობს ის ამბავი, რომ მუქა ერმა ამდენი მებრძოლნი გასწირა და უპატრონოდ დარჩა სახლ-კარი, მაშულ-დედული, ოდნავაც არ გვათრთოლებს ჩვენი დედების შავ-ბნელი ძაძა, ოდნავ ერუანტელს არა გვგვრის უდროოდ დაქვრივებულ რძალლთა ქვითინი, მათ მიერ უნაყოფოდ დათესილი ცრემლთა მარგალიტები... ოდნავაც არ გვაკთობს შიმშილის საზარელი აჩრდილი, რომელიც ჭირისუფალსავით თავზე წამოგვდგომია. შერე რას ვლონობთ? რას ვაკეთებთ? გამოვიკვლიეთ ესა თუ ის მაზრა რა ყოფაშია? გავითვალისწინეთ სამშობ

ლოს კუთხეთა მდგომარეობა? მოგვებოვება რაიმე სტატისტიკური ცნობები? შევადგინეთ დამხმარებელი საზოგადოებანი, თუნდა რუსეთში არსებულ ეკონომიურ საზოგადოებათა ფილიალური განყოფილებანი, რომ სესხის აღებით მაინც შეგვეძლოს შიმშილობის თავიდან აცდენა? ვინ ზრუნავს, ან სად არიან ჩვენი უპატრონოდ დარჩენილი სოფლის მზრუნველნი? ითხოვეს სადაც ჯერ არს, რომ სტიქიურ მტრისგან რამდენადმე დაზღვეულნი ვიყვნეთ? მაგრამ ამაზე ზრუნვა ხომ „ზოოლოგიური პატრიტობა“ იქნებოდა! ქართველ ერს სადა აქვს დრო თავის თავზე იზრუნოს! მერე რა პასუხი უნდა გასცეს საფრანგეთს, ინგლისს, ბელგიას, რომელსაც აღდგენა ეჭირვება, მაშასადამე ჩვენი დახმარებაც, თუმცა იგივე ბელგია ამ გაოხრების შემდგომაც ათასჯერ გვიყდის და გაგვიყდის კიდევ! „ოხრდაც დარჩენილა საქართველო, თუკი პარიზი არ იქნება“, — აი ჩვენი დიდი და უმაგალითო ზრუნვას გამოსავალი წერტილი! და ეს ავადმყოფური სტერმავე მით არის სავალალო, რომ ინტელიგენციის კარნახითვე საზოგადო ხასიათს იღებს. სხვისთვის თავის განწირვა, სხვისთვის სისხლის დაღვრა და არასოდეს საკუთარისთვის ზრუნვა, — აი ჩვენი რაინდული, მაგრამ იმავე დროს ჩვენივე დამღუპველი თვისება! ამ გატაცების მიზეზია ჩვენი პოლიტიკური მისიის შეუძლებლობა. ამის გამოა, რომ ლამის არის ისტორიული ერი არა ისტორიულ საფეხურამდე ჩამოვიდეთ. ჩვენმა დაუდევარმა უმოქმედობამ დაგვიკარგა კულტურული ღირებულება. ჩვენ შეგვრჩა მხოლოდ ფიზიკური სახიერება, რომელიც შეგვიძლიან ვიპოვოთ ყოველ ველურ ადამიანში: „უგნური სიმამაცე“ ეს ის უგნური სიმამაცე, რის გულისთვისაც ჯილდოთ „კიდევ ერთი დოკუმენტი“ გვტკიცეს სევასტოპოლიდან ნაფრენ დებეშით! მაშ რა უნდა ერქვას ასეთ ერის მომავალს? სადაა „სიცოცხლის ძიება? სადაა მოქმედება? ვხედვით, ქართველობა იბრძვის, ომის ველს ათასობით აფერადებენ საკუთარ სისხლით. ვიცით ეს, ვიცით, მაგრამ ვსდუმვართ და მის ნაცვლად, რომ გველონა რამე, კანონიერად ამოგველო ხმა და სასურველად პატივი დაგვემსახურებინა ჩვენდამი, ჩვენ ჩვენი დუმილით, ჩვენი მონური ლაქიაობით ავიყარეთ ყოველი ღირსება! როდემდინ უნდა მივდიოთ მდუმარე ბედის ვარსკვლავს? როდემდინ ვიქნებით მიძინებულნი? ნუ თუ ტკივილზე ყვირილი დანაშაულობაა? მაგრამ ხომ ვიცით, რომ ჩვენს გარშემო ყველა ყვირიან, ხომ ვხედავთ, რომ ყოველისფერი ნებადარ-

თულია სხვათათვის! მაშ რას ნიშნავს, რომ ქართველ ერს კი, მებრძოლს, წინა რიგებში სიკვდილთან მოციკვავეს, მაინც ყველა თავში სცემს, აზუხად იგდებს, ხოლო ამას კი პასუხის გაკეთება კანონის დარღვევა ჰგონია და მტრის შიშის შიშისგან საკუთარ თავის ლაჩარი დამცველიც კი არ არის! დაგვრჩენია ერთი გზა ვიფიქროთ, რომ ჩვენ ვერ შეგვიგნია საკუთარი ძალ-ღონე, მას ვერ ვაფასებთ სათანადოდ ან და სულ გულუბრყვილო ბავშვები ვართ, ხოლო თუ არ ვიღუპებით და უფსკრულში დღემდინაც ვერ გადავიჩებეთ, ეს მოხდა განგებით, ვილაც მფარველი ანგელოზის წყალობით, რომელიც ფეხდაფეხ დაგვდევდა და გვღევს კიდევ.

მაგრამ თუ სიცოცხლის ლოდიკა მოითხოვს თავდაცვის ფარხმალს, თუ დღეს დიდი და პატარა სახელმწიფონი დატრიალდა და მზადებაშია, თუ ჩვენი მეზობლები უტეთიტორიოდ ტერიტორიას იძენენ, რუქაზე საზღვრებს უვლებენ, ავტონომიის მოპოვებაზე ახდილად ლაპარაკობენ, იძენენ შეთხზულს თუ შეუთხზველს იურიდიულ უფლებებს, უფრო მეტის უფლებით შეუძლიან ქართველ ერს ხმა ამოილოს, ვიგინდარას ხელის წამოკვრაზე სასურველი პასუხი გასცეს და იფიქროს თავის მომავალზე,

რომ ყოველგვარ მოულოდნელობას თამამად შეხვდეს. შევხედოთ ჩვენს მეზობლებს, როგორ ეკამათებიან მილიუკოვს არევ-ლეოთა სახით! ისინი თავისი მხრით მართაღნი არიან და სამართლიანადაც სცდილობენ თავისუფალ არმენიის ასაღორძინებლად,

მით უმეტეს, ეს საკითხი, თუნდაც ომი არ მოამხდარიყო, მორიგად იყო წამოყენებული. აი, დავხედოთ რუქას და რას დავინახავთ: პატარა საქართველო არტახებშია შეკრული, მას აქეთ-იქით ორი დიდი ტალღა აწევბა, ჩრდილოელნი კავკასიონის კალთებზე და სამხრელნი ბორჩალო-ახალციხის მხრით. საით წავიდეთ? როგორ მოვიქცეთ?

— აი უმწვავესი საკითხი. ჩვენ კი ამაზე არ გვიფიქრია. ერთხელ აფყვირდით, როგორც თეორეტიკოსები, მაგრამ მაშინაც „რეალურ მოსახლეობას“ ვერ გასცილდა ჩვენი პოლიტიკური სიმწიფე. ჩვენ გამოვიჩინეთ სრული უცოდინარეობა სამშობლო რუქის, სამშობლო ისტორიისა, მასთან ერის ზრდის კანონებისა. მაგრამ რამდენადაც უსუსური იყო იმ დროს ჩვენებურ თეორეტიკოსების ლოდიკა, იმდენ-

ნად ხანმოკლე იყო მისგან დაყენებულ უთავბოლო კამათის კორიანტელი და სწრაფადაც ჩაჰქრა. ცხოვრება კი საღ საკითხებს აყენებს ჩვენ წინ და კონკრეტულ გარდაწყვეტას მოითხოვს და არა შექანიკურად შეთხზულ თეორიებს. როგორც ყველა ერს, უმჯობესია, ჩვენ ერსაც ექმნება ზრდის თვისება. ჩვენი „რეალურ მოსახლეობის“ მანძილი ისე მკვირეა, რომ არ იკმარვის. დღეს, იმერეთს არ ჰყოფნის ადგილი. ხვალ კიდევ კრიზისი ქართლს დაუდგება. და როცა ეს ასე ხდება, ერმა კიდევ უნდა იპოვოს შესაფერი გასაქანი. ეს გასაქანი ეხლავე უნდა იქმნეს აღნიშნული და დაკანონებული, იურიდიულ ფორმებში ჩამოყალიბებული. ეს გახლავთ გზა, რომელიც ისტორიამ მოგვანიჭა, გზა, რა მხრივთაც მოველით, საითაც ჩვენი ფშავ-ხევსურები და მთიულეები ბუნებრივად მიერეკებიან სამოვრებზე თავიანთ ფარას: ეს გახლავთ ბორჩალო, ახალციხე და მთელი ლაზისტანი, ხოლო მეორე მხრივ სოხუმის ოლქი, ერთი სიტყვით, შავი ზღვის ნაპირები. ზღვიდან დაშორება, დაკარგვა ამ ისტორიულად ნაანდერძევ მაზრებისა ეს იქმნება სიკვდილი მთელი ქართველი ერისა, იძულებითი გასრესა სამხრეთისა და ჩრდილოეთის ტალღის ქვეშ, რომელიც ჩანთქმას გვიქადის. თუ რამ უნარი შეგვრჩენია სიცოცხლისა, თუ გვსურს ჩვენი მომავალი უზრუნველ გყოთ, ეხლავე მაგრად უნდა ჩავკიდოთ ხელი ჩვენს იურიდიულ უფლებებს და ჩვენს მეზობლებსა-ვით დროითვე შეუდგეთ ზრუნვას, საქმიანობას, რომ ეს მაზრები ჩვენი ტერიტორიის ფარგლებიდან არ დაეკარგოთ. თავდაცვისთვის მზადება ყველა არსის უფლებათა, მით უმეტეს მთელი ერისა, ჩვენც არავინ დაგვზრახავს,

ქართლელი.

„ქართლი“ და „კახეთი“

ამ ოცი წლის წინად ჩაეყარა საფუძველი ერთ უდიდეს და მნიშვნელოვან საქმეს დაასდა კახეთის მევენახეთა საზოგადოება „კახეთი“. მისი ეკონომიური მნიშვნელობა არა მარტო შიგ შესულ მევენახეთათვის, არამედ მთელი კახეთისათვისაც იმდენად დიდი და ფართოა თეორეტიული მოსაზრებით რომ ყოველად შეუძლებელია როდისმე საბოლოო ხორცი შეისხას ამ იდეამ, მაგრამ მისი თანდათან განვითარება,

რება, მისი გაძლიერება არა მარტო სასურველი არამედ შესაძლებელიც არის. „კახეთის“ საზოგადოების ისტორია არ არის ბრწყინვალე, მას ბევრისაგან ბევრი დაბრკოლება ელოდება. მაგრამ თანდათან მისი დადებითი მხარეებში იმდენად აშკარანი ხდებიან, რომ მომავალში იგი უნდა კოოპერატიულ საზოგადოებათა მაგალითად გადაიქცეს. საუბედუროდ, სწორედ ეს მხარე მოიკოჭლებს საზოგადოებისა და ამაში ბრალი ედებათ არა მარტო ყოფილ და ეხლანდელ ხელმძღვანელებს, არამედ უმთავრესად საზოგადოების შემადგენლობას, რომელსაც ნათლად არა აქვს წარმოდგენილი თვით დედა აზრი და მიზანი საზოგადოებისა.

პირველ დამფუძნებელთ, ეტყობა კარგად ჰქონიათ წარმოდგენილი კოოპერატიული საზოგადოების დიდი მნიშვნელობა და მართლაც მეტად ცხოველმყოფელი წესდება შეუდგენიათ, მაგრამ რუტინას ჩვენი ცხოვრებისას ეს მშვენიერი წესდება უკულმა შეუტრიალებია და თვით დამფუძნებელნი, იძულებით თუ ნებაყოფლობით მათივე არჩეულ გზიდან გადაუყენებია.

დედა აზრი და მიზანი ყოველ საწარმოო-გამსაღებელ კოოპერატივისა, როგორც არის „კახეთი“, გახლავთ საუკეთესოდ წარმოება და გასაღება იმ საქონლისა, რომელიც კოოპერატივის ამხანაგებსა აქვთ; მაშასადამე უნდა ვიფიქროთ, რომ „კახეთის“ საზოგადოების ხელმძღვანელნი სწორედ ამ მხარეს მიაქცევდნენ ყურადღებას და შეეცდებოდნენ ოცი წლის განმავლობაში შეექმნათ კადრი ინსტრუქტორებისა, რომელნიც გააუმჯობესებდნენ მეურნეობას, შეაკავშირებდნენ წევრებს ერთსულოვან ამხანაგობასა და მუშაობაში, ხელს შეუწყობდნენ მეურნეობის განვითარებას წამლეულობით, ხელსაწყო იარაღებით, საორგანიზაციო და საერთო სისტემით. რაც შეეხება ღვინის გასაღებას — აქაც შეეცდებოდნენ იქითკენ მიეხარათ საქმე, რომ რაც შეიძლება მეტი ღვინო და მეტი წვერისა გასაღებულიყო. ნამდვილში ჩვენ სულ სხვასა ვხედავთ. ოცი წლის განმავლობაში წევრებისათვის არაფერი გაკეთებულა რა, თითქო წევრები სხვანი იყვნენ და თვით საზოგადოება სხვა, საცა მხოლოდ გასაყიდათ მიაქვთ თვისი საქონელი. ამ გვარიდ ჩამოვარდა რაღაც უცნაური წესები და დამოკიდებულება ამორჩეულ გამგეობასა და წევრებს შორის. ამხანაგური განწყობილების მაგიერ — თითქმის მტრული. წევრები მუდამ უკმაყოფილონი არიან გამგეობისა, გამგეობა კიდევ წევრებისა და ორთავეს სრული საფუძ-

ველი აქვს ამისა, რადგან თავიდანვე არანორმალური პირობებია შექმნილი ურთიერთობისა. აქედან წარმოსდგება ყველა სხვა ნაკლიც ამ დიდმნიშვნელოვან საზოგადოებისა, რომელსაც დღეს მთელი კახეთის ბედი ხელთ უნდა ეჭიროს და ფაქტიურად კი ნაასალსაც ვერ უძღვება.

„კახეთს“ ისეთი სახელი აქვს მოპოებული, შეუქმნია იმ გვარი ფარმა, რომ მისი ღვინის გასაღებას სრულიად არა სჭირია, ის ვაჭრული თაღლითობა და ათასგვარი ხრიკები, რომლითაც სარგებლობენ კერძო ვაჭრები და სირაჯები. „კახეთის“ ღვინის რეკლამა და საფასური თვით ნაწარმოების სიკეთეშია და ამიტომ ზედმეტად უნდა ჩაითვალოს მთელი ყურადღების გადატანა სწორედ ვაჭრულ მხარეზე, რითაც აქამდის ხელმძღვანელობდნენ. ეს მხარე, გარდა იმისა რომ გამოუცდელიობითა კოჭლობს ყოველთვის, ვინაიდან ქართველებს ვაჭრობა აქამდისაც ეძნელებათ, არასასურველ ნიადაგზედაც აყენებს დანარჩენ საქმეს. ხელმძღვანელნი აფართოვებდნენ ვაჭრობას, მაშინ როდესაც თვით ამხანაგების საქონელი არა მატულობდა, ე. ი. იძულებულნი იყვნენ გაფართოებულ ბაზრის დასაკმაყოფილებლად ღვინო გარეშეთაგან შეეძინათ და ბევრჯერ იმ დროს, როცა თვით წევრები იძულებულნი ხდებოდნენ თავიანთი ღვინო საზოგადოების გარეშე გაეტანათ.

ყველა ეს არანორმალური პირობა შეიქმნა, ჩვენის აზრით, სხვათაშორის იმიტომაც, რომ დღემდის კოოპერატიულ საზოგადოების ძირითადი მნიშვნელობა შეგნებული არა გვაქვს და მასაც ისეთივე მოთხოვნები უყენებთ, როგორც კერძო ვაჭრობას. ხშირად გაიგონებთ არა მარტო ჩივილს, არამედ თითქმის სასოწარკვეთილებამდე მისულს უკმაყოფილებას, რომ „კახეთის“ საზოგადოებას მოგება აოა რჩებაო, მაშინ როდესაც ასიათასობით უნდა იყოსო.

პარადოქსად ნუ ჩამომართმევთ და უნდა ვსთქვათ, რომ მწარმოებელ კოოპერატივს როგორც არის „კახეთი“, ნორმალურ პირობებში მოგება არც უნდა ჰქონდეს; ე. ი. მათი მომგებიანობა სრულგებობაც არ უნდა ვეძებოთ ისეთ წმინდა მოგებაში, რომელიც რჩება ხოლმე კერძო ვაჭარს, არამედ იმ მეურნეობს გაუმჯობესებასა და შემოსავლის გადიდებაში, რომელიც უნდა ჰქონდეთ ამხანაგობებს.

წესდებითაც და რეალური დანიშნულების მიხედვითაც „კახეთის“ უნდა გაასაღოს

ს ა კ უ თ ა რ ი ღ ვ ი ნ ო კ ა რ გ ფ ა ს ე ბ შ ი და ხელი შეუწყოს მეურნეობის გაუმჯობესებას. სხვა მიზანი საზოგადოებას არა აქვს. ეს მიზანი ფრიად საპატიო არის და მაშინადაც, თუ წევრებმა ღვინოში კარგი ფასი შეეფერეს, მერმის კი მეტი ღვინო მოუფიქრეს და სიყველესი ფასიც მიიღეს და ასე ამ გვარად მიმდინარეობს საქმე — მიზანი მიღწეულია; ზედმეტი მოგება უკვე ექსპლუატაცია იქნებოდა მომხმარებლისა, რასაც ყოველთვის უნდა ებრძოდეს და არა მიზნად ისახავდეს ყოველგვარი კოოპერაცია. მეორე მხრით, ასეთი კოოპერატიული წესი ხელს უწყობს ჩარჩობის და ყოველნაირ სიყალბის აღმოფხვრას, რადგან ამხანაგობის ნორმალური პრინციპია კ ა რ გ ფ ა ს ე ბ შ ი საქონლის გასაღება, და ამით უნდა მიიზიდოს გარეშე მდგომნიც თვით ამხანაგობის ფარგლებში.

მაგრამ საზოგადოება „კახეთის“ ნაკლი სხვათაშორის იმაშიაც არის, რომ ვერ ებრძვის ჩარჩობას. უსამართლო მოთხოვნად უნდა მოგება ჰქონდესო, ხელმძღვანელთ ბევრ შეცდომებს აკეთებინებს და საქმის გაუმჯობესების მაგიერ, ბევრჯერ აუარესებენ: სცდილობენ ნ ა კ ღ ე ბ ფ ა ს ე ბ შ ი შ ე ი ძ ი ნ ო ნ ღ ვ ი ნ ო წევრებისა თუ გარეშეთაგან და ამ ოპერაციით დაანახვონ საზოგადოებას მოგება. გარდა იმისა რომ ეს დარღვევა ნამდვილი მიზნისა და არც ყალბი მიზნის მიღწევას უწყობს ხელსა, ე. ი. მოგებას არ იძლევა, იგი თვალსაჩინოდ სცემს საზოგადოების მნიშვნელობას, როგორც თვით-მოზარდისას ერთი მხრით და როგორც ჩარჩობის ამლაგმელისას მეორე მხრით. მართლაც, წევრი, რომელიც სრულ ფასს ვერ იღებს თავის ნაშრომისას, უეჭველია უნდობლად მოეკიდება საზოგადოებას და გაექცევა ირამც თუ ვერ მიიზიდავს ახალს წევრს; ჩარჩი კი ამით ისარგებლებს თავისი ქსელის გასაბმელად.

მაშ თუ შევთანხმდით პრინციპიალურად რომ მწარმოებელ კოოპერატივის მოგება თვით მის არსებობასა და ნაწარმოების სრულ ფასისაღებაშია და არა წმინდა მოგებაში, უნდა კიდევაც შევეცადნეთ ამ ნორმალურ დონეზედ დავიყვანოთ როგორც საზოგადოება „კახეთი“, ისე აწ დაარსებული „ქართლი“, იმავე ხასიათის კოოპერატივი — და ყველა სხვა ამავე დარგისა.

მაგრამ პრინციპიალურ შეხედულებას ყოველთვის ათასი დაბრკოლება ეღობება წინ, ვიდრე იგი პრინციპი ფესვებს გაიდგავდეს ადამიანთა აზროვნ-

ნებაში და ამიტომ „კახეთს“ მაგალითად დღევანდელ კონკრეტურ პირობებში მოგებაც სჭირია, ვიდრე იმ ვალებს გაასწორებდეს, რომელნიც აწევს მას. ამ ვალის გაუახდას სულ ადვილად შესძლებს საზოგადოება, თუ სათავეში თვითონაც გამრჯელი ხალხი ეყოლება და მოსამსახურეთა კადრსაც გააუმჯობესებენ. შემცდარია ის აზრი, გავრცელებული ჩვენს საზოგადოებაში და კერძოდ „კახეთისაში“, რომ სათავეში აუცილებლად კომერსანტები და ვაჭრული უნარის მქონე პირები უნდა იდგნენ. კომერსანტები შეიძლება კარგად წაიყვანდნენ ვაჭრულს საქმეს, ე. ი. ათას თუმნობით მოგებას აჩვენებდნენ საზოგადოებას, მაგრამ იმავე დროს აუცილებლად დასცემდნენ თვით წევრთა ნაშრომის ფასსა; კიდევაც მეტს ვიტყვით: ისინი იძულებულნი იქნებიან არჩიონ გარედ ნაყიდი ღვინო შეღავათიანი პირობებით, ვიდრე ანგარიში გაუწიონ ყოველ წევრსა. ამ გვარად გამოცდილი კომერსანტი ნელ-ნელ გამოაცლის კოოპერატიულს სულს და გაამეფებს ვაჭრულს. ჩვენს ყოფაში ჩავარდნილ ერისათვის კი ხსნა სწორედ კოოპერაციის აღორძინებაშია. ვაჭრობა მრეწველობას ერის ცხოვრებაში საზოგადოთ დიდი მნიშვნელობა აქვს და ამის ყოველმხრივ უნდა შეუწყობთ ხელი, მაგრამ ვაჭრობა მაინც კერძო საქმეა და კერძო შეღავათს მოუტანს ამა თუ იმ პირს, ამა თუ იმ ჯგუფს, მაშინ როდესაც კოოპერატიული წესი წარმოებისა თუ ვაჭრობისა აერთებს მთელს რაიონებს, წვრთნის ამხანაგებს ერთსულოვან მოქმედებაში და ჰქმნის ერის ჯანბრთელ ეკონომიურ ცხოვრებას. ჩვენთვის, ქართველთათვის კოოპერაციას მით უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს რომ უფუფლებო ერი ვართ, გერები და ხელმძღვანელი ორგანო, მთელი ეროვნული მეურნეობის და პოლიტიკის მწარმოებელი გულ-შემტკივარი არა გვყავს. ჩვენი ძალა მხოლოდ ყოველნაირ ერთობაშია, ორგანიზაციაში და მხოლოდ ორგანიზულად შექედილ დაწესებულებათა წყალობათ შეგვიძლიან ბრძოლა ყოველგვარ უკუღმართ პიბობებთან.

ამხანაგობა „ქართლი“ სწორედ იმავე პრინციპზეა აშენებული, როგორც „კახეთი“ და ერთი დიდი უბირატესობა აქვს, რომ მარტო შარშან დაარსდა; მაშასადამე გარეშე პირობები უკეთესია, შეგნება მეტი და ჯერ შიგ არ გაბატონებულა ინერციით სავსე მექანიზმი, რომელიც ხელს შეუშლიდეს ჯეროვან ნიადაგზე დაყენებას კოოპერატიულ საქმისას.

წერილი მეტად გაგვიგრძელდა და ვეცდებით შემდეგ ნომერში შევჩერდეთ უფრო დაწვრილებით „ქართლის“ საკითხედაც და ზოგიერთ უკვე ხსენებულ აზრზედაც, ნამეტნავად „წმინდა მოგებაზედ“, რომელი საკითხიც მკაფიოდ უნდა ჰქონდეს წარმოდგენილი ყველა კოოპერატორს.

რ. გ.

გ ვ ი რ გ ვ ი ნ ი ...

სურათი ესე - პატარა, მაგრამ ღრმა, როგორც თერი ცისა, ნაზი - როგორც ღრუბლის მუსიკა...

ვის უნახავს მგოსნის საფლაფი?
 იქ, მთაწმინდის წმინდა ეზოში, ჩვენს პანთეონში, ასვლისას მარცხნით, ათლილ კლდის ძირში ასვენია ჩვენი მგოსანი... ობოლია საფლაფი მისი. განმარტოებულია მისი სამარე... ირგვლივ შემორტყმული აქვს მუხის შტოთაგან ნახლართი ღობე... შიგ საჯდომი გრძელი სკამი სდგას. ბუმბერაზის კუბოს სიგრძეზე აზიდულია მალლობი და ერთ თავში უსვია ნინოს ჯვარივით ვაზისაგან ნაკეთი ჯვარი. მეორე თავში კიდევ სურათი მისი ჩარჩოში მდგარი და კიდევ ჯვარით დაშვენებული. საფლაფის მალლობს ზედ ეყარა ყვავილთა გროვა... მრავალ ყვავილთა... და შიგ კალთებიც დაფენილიყო მწვანე ფურცლებით, ნორჩი შტოებით...

მე ვიყავი მგოსნის საფლაფზე დაკრძალვიდან მეოცე დღეს...

მაღალია მთაწმინდა. დილა აღრიან, როდესაც მზე განით გადაჰკრავს სხივთა კონებსა და მგოსნის სამშობლოს დედაქალაქი მთლად გალაღებულია მზის ღიმლით, მაშინ მყუდროა მთაწმინდა. იშვიათია იქ ამსვლელი. მაგრამ საამუროია იქ ყოფნა. წარმტაცია იქიდან ცქერა და მე დილას ავედი იქ სიჩუმე იყო. დავჯექი სკამზე და ვფიქრობდი იმაზე - თუ რა რიგ უნდა აშენდეს აქა დიადი ძეგლი. არეს ვსინჯავდი. ვუცქეროდი საფლაფს და ვფიქრობდი იმაზე - თუ ვინ არის ასეთი ჩუმი მზრუნველი, რომ ამდენი ყვავილი ჰყრია საფლაფზე, რომ თითქოს ოცი დღის კი არა - დღევანდელი იყოს სამარე. ვდუმდი... უცებ სიჩუმე დაირღვა, მოვიხედე და დავინახე ხორც-შესხმული უბიწო ტრფობა...

ხუთმეტამდე იყვნენ პაწია ბავშვები. აღფრთოვანებული იყო მათი სახელი. თვალები - ანთებული. სიხარულით იყვნენ სავსე. მაგრამ ცქრიალა სულის

თამაშს აღარ ამხელდნენ ყურადღებად იყვნენ გადა-
ქცეულნი. ჩემმა დანახვამ ისინი შეაკრთო და გაა-
თამამა კიდევ.

ჩუმად მოვიდნენ სამარესთან. მოწიწებით და-
დგნენ. ყველას პაწია ხელებში ეჭირა რამდენიმე
ყვავილი, ვარდი, აყვავებულ მცენარეთა შტოები.
ვაჩუმიდნენ. და შემდეგ დაუწყეს პატივი ერთმანეთს —
თუ რომელი მისულოყო პირველად. ბოლოს დაიწ-
ყო ერთმა. მივიდა წყნარად, დაადგა ყვავილთ კონა
საფლავს. შეჩერდა, და... გამოიქცა. მერე მეორემ
ამ რიგადვე. და ასე ყველამ. და საფლავი შეამკეს
სულ ახალ-ახალი ყვავილებით. გაიქცნენ.

აი ვინ ყოფილა მზრუნველი მგოსნის საფლა-
ვისა! მთაწმინდის ღარიბ მცხოვრებთა შვილები. აღ-
ბად, ყოველ დღე აღიოდნენ თავისი „მცირე
შეწირულებით“ და „წრფელი, უმანკო გულით“
თავის სიყვარულს უმტკიცებდნენ ბუმბერაზ ქართ-
ველს, სიყვარულის მგოსანს.

ეს იყო გვირგვინი... სიყვარულის გვირგვინი!...
სურათი პატარა—მაგრამ ღრმა როგორც თე-
რი ცისა, ნაზი როგორც ღრუბლის მუსიკა. ფაქი-
ზი—როგორც მგოსნის ოცნება...

თ. იანგუი.

უზრუნველ ქართვე- ლის დღიურიდან

(კვირიდან კვირამდე)

როგორც გასულ კვირას მოვახსენეთ, დიდ
ვერაფერ „აღერსით“ დამხვდნენ საკუთარ ოჯახში
და იქ რომ არ დაგვეწრებოდა უწესოების, ახა,
ღმერთო, რა შემარაება! — წესიერების დამცველი
მეუბოგე, ვინ იცის რა მსვლელობას მიიღებდა ჩვე-
ულებრივი ოჯახური „ნედლოზუზენიე“, ამიტომ რა
გასამტყუნნი ვარ თქვენი ქირიმეთ, თუ თქვენს
უმორჩილეს მონას, როგორც ერთი ჩვეულებრივი
„ობივატელის“ დიდი რუსეთისა და იმის კულტუ-
რას ნაზიარება,*) აღმეძრა ეინი ანუ ქუთათურათ
რომა ვსთქვათ, — ჯინი, «СЪ ГОРЯ», ნუნუათი გო-
ნება გამებრუებინა, — დავიწყებას მივცემოდი... ასეც
მოვიქეცი: ვიხელთე თუ არა დრო, როცა ჩვენებმა

*) ბოდიშს ვიხდი, რომ ვსარგებლობ ბ. რობაქი-
ძის საუკარველ ქარაგმით.

მამა-პაპური ხვრინვა ამოუშვეს, ფაცი-ფუციითა
სიბნელეში, ტანისამოსი გადავიცვი... სიჩქარისაგან
თავზე ერთი ხელი ჩემი სიდედრის „შლიაპაც“ კი
ჩამოვიფხარტე და გავიპარე... ნიაფივით,
იაჯაჯე მიყრილ-მოყრილ მწოლარეთა შორის...

ღვთის წინაშე ტყუილად არ ჩამიარა იმ
„განწირულმა სულის კვეთებამ“: მე მაშინათვე მი-
ვაშურე ერთ ჩემ მწერალ—მეგობარ ბინისაკენ და,
ჩემდა დიდად სასიამოვნოთ, იქ დამხვდა ჩვენი ინ-
ტელიგენციის მრავალი წარმომადგენელი, — ეგრედ
წოდებული „მარტილი ჩვენი ქვეყნისა“, რომელთაც
თავი მოეყარა დღესასწაულის შესახვედრად. ხსოვ-
ნიდან წარუშლელი შთაბეჭდილება იქონია, ამ
ბრწყინვალე საღამოს არა ნაკლებ ბრწყინვა-
ლე კრებამ: ღმერთო ჩემო, რა მჭერმეტყველოური,
სულის და გულის აღმატკნებელ აღმაფრინაფი და
აგრეთვე აღმაშფოთავ-შემამწრუნებელი მრგვინაფი სი-
ტყვა იქ არ ითქვა!... ამიტომაც, რა გასაკვირველია, თუ
ტიქებიც „ბეზ კაბლათ“ იცვლებოდა... რაღა თქმა
უნდა, გაიხსენიეს, თანამედროვე, ისტორიაში ის-
უმაგალითო, ხალხთა ხოცვა-ჭლეტა, რასაც ჩვენი
პატარა მხარიდანაც ესოდენი მსხვერპლი დაუზოგვე-
ლობით ეწირვება; ჩვენ საზოგადოებრივ ძალების
დაქსაქსვა, რამეგვარ, გარკვეულ მიზნით, ორგანი-
ზაციის არ ქონა; ჩვენ ძმა—აქარლების ისეთი აწი-
ოკება-დარბევა... ერთმა არატორთაგანმა, რომ მე-
ტი ვაშას ძახილი გამოეწვია, თეფშზე თეთრი ქან-
ქარიც კი დაახხარუნა და თან „გახსნა ხელის მო-
წერაც“. მართლაც, ამან ყველაზედ მძლავრად
იმოქმედა... მეც გავიქარ ხელი ჯიბეებისაკენ (ვინა-
იდან, ცხოვრების უკუღმართ პირობებისა გამო,
მრავალი ჯიბე მაქვს და მხოლოდ ერთი, ნახევრად
გაცვეთილი, ქისა), მაგრამ, ბევრი ძებნის შემდეგ,
ქისა რომ ვეღარ ვიპოვე, კინალამ მეზობლის ჯი-
ბისკენაც კი წავატანე ხელი (თუმცა ეს არც იმდენ-
ნად საძრახისი უნდა იყოს: მოგეხსენებათ ჩვენში
იმდენად არ ერიდებიან სხვის სულში და ჯიბეებში
ხელების ფათურს). სამწუხაროთ ქისა, სიჩქარით,
სახლში დამრჩენოდა... კარგი კიდევ, რომ აქ ბევ-
რი აღმოჩნდა ჩემ ყოფაში და ამით სამუდამოდ გუ-
ლი დავიმშვიდე...

რცდაქტორისაგან დაშინებულმა, რომ სიტყვა
არ გავაგრძელო და, ქრიაშვილივითაც, განმეორე-
ბით ნაამბობი უმაღლ თავიდან არ დავიწყო, მოკ-
ლეთ მოვახსენებთ, რომ იმ კრებაზე ერთ საგულის-
ხმიერო სიტყვას სცვლიდა მეორე, უფრო საგრძ-
ნობელი და ამასთანავე იცვლებოდა ჩვენი „ნასტ-

როენიეც“ ისეთის თანდათანობით, რომ, ბოლოს და ბოლოს, ყველა ჩვენგანი, სათითაოდ, თამამად წავიდოდა თუნდა ყარსის ასაღებად!... ყარსის აღებისა რა მოგახსენოთ და ღვინომ კი ისე გაგვაბრუნა, აილო და აიტაცა ჩვენი გრძნობა-გონება, რომ, ზოგი რუსულათ სტიროდა, ზოგს, მაგიდაზედ შემდგარს, ცნობილი „ტრეპაკა“ გამოჰყავდა; ზოგი გრიშა-შვილის რომანსებს უმღერდა თვის „ოქროს-ფეხოვან“ სატრფოს და, თქვენი უმორჩილესი მონა კი არ ვიცი ვინ მომიტანა სახლში; მხოლოდ და მესამედღეს შეუყაროთ თავი; ჩემს ქუდს, პალტოს, „კალოშებს“ და სხ. ნივთებს..

რა თქმა უნდა, ნახულ-გაგონილიდან, აქ არამც თუ ყოველივე ზერელეთ მოგიყვებით, არამედ, ნუ დამემღურებით თუ სრულიადაც უნდა შევსწყვიტო ბაასი, ვინაიდან ჩვენი რედაქტორი სულ იმას ჩამძახის: „იმოდენა ადგილი ნომერში არა გვაქვს, სათქმელი გამოხატე მოკლედ და სხარტულადო“... არ ვიცი, ღმერთმანი, რომელი აკაკი, ან თუ სჩედრინი მე მნახეს, რომ სიტყვას შუაზე მაწყვეტინებენ!..

შეტე რა გზაა, მკითხველო, დარჩეს მეორე კვირამდე...

გ—ი ახ—ელი.

გამოქცეულები

წარსულ ნომრებში*) ჩვენ შევჩერდით სწორედ ყველაზედ საინტერესო მხარეზედ გამოქცეულთა საკითხში, მაგრამ ჩვენდა უნებურად დაგვიგვიანდა.

უმთავრესი სიმძიმე გამოქცეულთა საკითხში ის ეკონომიური ქიშპობა იქნება, რომელიც დაგვა-ვიწყებს ყველა წარმავალ შედეგს ამ ანორმალურ მოვლენისას — სენს, ავადმყოფობას, უსუფთაობას, ცხოვრების გაძვირებასა და სხ. და სხ.

ჩვენ უკვე აღნიშნული გვქონდა ის ანორმა-ლური მოვლენა, რომ რუსეთის სახელმწიფოში, რომელსაც ისეთი დიდი უბედურება დაატყდა თავსა, როგორც არის ომი, რომელიც მოითხოვს უკიდურეს მოკრებას ძალთა, რომელიც შთანთქავს ფინანსებს და ეკონომიურადა სცემს და ასუსტებს მოქალაქეთ — ამ სახელმწიფოში, საცა ყოველი გრო-ში შემატებაა იმ დიდი მიზნისათვის, რომელსაც

გამარჯვება ჰქვიათ — აი სწორედ აქ იკრიბება და იხარჯება მრავალი ფული მტრის ბანაკიდან გამოქცეულებზედ. ეს ერთად-ერთი მაგალითია ამ უმაგალითო ომში, რომ სახელმწიფო, საზოგადო დაწესებულებანი და კერძო პირები გამოუსწირავენ საკუთარ მოქალაქეთა, ქვეშევრდომთა ინტერესებს და ამჯობინებენ გამოქცეულებისას. ადგილობრივი და სატახტო უმაღლესი მთავრობანი ნებას რთავენ ფულის მოკრებას, ისედაც ეკონომიურად გალარო-ბებულ ხალხის გაყვლეფას — გამოქცეულთა სასარ-გებლოდ. მაგრამ „საქმენი მისნი მიუწდომელო არი-ან“ და რას იზავთ.

მაგრამ ეს ხელოვნურად შექმნილი ტალღა გა-მოქცეულთა, რომელთაც აქ მთარველობას უწევენ, დროებითი ტალღა არაა საუბედუროდ და მკვიდრ მცხოვრებთაც მომავალში დიდ საფრთხეს უზბადებს. ჩვენ მარტო გვიკვირს, რომ ჩვენი ყოველდღიური და დროული გამოცემანი ამ დიდს შინაურსაკითხს არავითარ ყურადღებას არ აქცევენ. მართალია ისი-ნი სხვა უფრო ფართო და მსოფლიო აზრებით არიან გატაცებულნი, მაგრამ ჩვენ ვიცი თუ რო-გორ ეკიდება ამგვარ საკითხებს საზოგადოთ დემო-კრატია. ყველაასათვის ცხადია, რომ გამოქცეულნი ჰქმნიან მთელს კადრებს იაფი მუშებისას, რადგან ერთის მხრით გაჭირვება და მეორე მხრით შეუჯ-ნებლობა შეუპოვრადა სცემს მათს ხელფასს. ჯერ კიდევ მაშინ მივაქციეთ ჩვენი მკითხველების ყურად-ღება იმ მოვლენაზედ, რომ მაგ. მეზოვეები, კურ-ტნის მუშები და ხელოსნების ზოგიერთი დარგები უკანასკნელ ათეულ წლების განმავლობაში თანდა-თან შეიცვალნენ ქურთებსა და სომხებზედ, რადგან მათი ამტანი ფსიხოლოგიით და იაფი სამუშაოთი მთლად განდევნეს უფრო ღონიერი და შეგნე-ბული მაგრამ უფრო ძვირფასი მუშა ხელი. უკვე ლაპარაკია იმაზედ, რომ გამოქცეულებს აძლევდნენ სამუშაოს და არა მარტო მოწყალეობას და ასეთი გადაწყვეტა საკითხისა მთელის სიმძიმით დააწვება ჩვენს მუშა ხალხს, ჩვენს დემოკრატისს; რადგან კა-პიტალისტები სუნით დაეძებენ იაფ-ფასიან მუშას და სიამოვნებით შესცვლიან იქ, სადაც მოახელე-ბენ.

უკანასკნელ წლების განმავლობაში ეს პროცე-სი განუწყვეტლივ სწარმოებს და მისი ყველაზედ მკაფიო გამოძახატველია მაგალითად ბაქო, საცა ქართველ მუშას, როგორც უფრო შეგნებულ და ძვირად ღირებულს პირდაპირ სდევნის შეუგნებელი ქურთი, თათარი, სომეხი,

*) იხ. „ქლდე“ № 5 და წინასწარი



„შეცნიერების დაპყრობანი“ (ვირტი 1806—1865).

ეს ბრძოლა არსებობისათვის ომამდის, ვიდრე პირობები უკოტად თუ ბევრად ნორმალური იყო — არ მწვაფდებოდა უკიდურესობამდის, რადგან თანდათანობითი იყო, მაგრამ დღეს როდესაც ერთის მხრით ომმა ძირიან-ფესვიანად ააფორიაქა მთელი წყობილება ცხოვრებისა, როდესაც ერთბაშად მუშა გაღარბდა ერთი ორად (რაკი სამუშაო ქირა არ გადიდდა და ცხოვრება კი გაძვირდა ერთი ორად) და მეორეს მხრით ასიათასთავიანი ტალღა გამოქცეულთა ერთბაშად დასცემს სამუშაო ქირას თვისი უხვი მიწოდებით სამუშაო ძალისა, — დღეს, ჩვენის

აზრით, სწორედ შეგნებული დემოკრატია არის მოვალე ხმა ამოიღოს მუშათა ინტერესების დასაცავად ახლო მომავალ გაჭირვებისაგან. მოვალეა იმით რომ გაანელოს ის მოსალოდნელი გამწვავება, რომელსაც თვით ცხოვრება წამოაყენებს და გვიანლა იქნება მისი ალაგმვა.

ვერავენ იტყვის როდის გათავდება ომი, მისი სიმძიმე თანდათან უფრო საგრძნობი ხდება ყველასათვის და მით უფრო უნდა ვეცადნეთ შევამსუბუქოთ ყველა მისი შედეგი; ჩვენ კი პირიქით გვემატება სიმძიმე ხელოვნურადაც, გარდა იმისა, რასაც თვით ომი განგვაცდევინებს.

გამოქვეყნებული ეხლავე უსამართლოდ იკვებები-
 ან საერთო ბიუჯეტით, რომელიც ისედაც შემცირ-
 და და ძვირფასი გახდა ადგილობრივ მოქალაქე
 მკვიდრთათვის და შემდეგში ამ მკვიდრთა სიას უნ-
 და გამოვაკლოთ შეძლებულნი, რადგან გამოქვე-
 ულთა კონკურენცია მდიდარს მხოლოდ გაამდიდ-
 რებს და ღარიბს მუშას უფრო დასცემს ძირსა.

ეკონომიური ქიშპობა — იი ყველაზედ უდიდესი
 საფრთხე, რომელსაც გვიმზადებენ გამოქვეყნ-
 ნი.

რ. გ.




ვირცის სურათის გამო

ეს სურათი რომელიც აქვეა მოთავსებული გადმოფ-
 ბეჭდეთ ვერ. „ზარას“ № 12 საგულისხმიერაა, რომ
 სურათისვის დაურქმევიათ „მეოცე საუკუნის კულტურა“,
 მხატვარ ვირუასი, ასეთი მხატვარი ვერ ხელფენებამ
 არ უწეის. სურათი კი ეკუთვნის ანტუან — ვილჰელმ ვირც
 (Wiertz) ბელგიის ცნობილს მხატვარს, რომელსაც
 კრიტიკოსები რუბენსის დიასუულ შემკვიდრეს უწოდებ-

დნენ, დაიბადა 1806 წ. გარდაიცვალა 1865 წ. ქ. ბრა-
 უსელში მის სახელობაზე აშენებულია განსაკუთრებული
 მუზეუმი, სადაც მხოლოდ მისივე სურათებია გამოფენი-
 ლი. ამ სურათში მხატვარს სიუჟეტად აქვს
 ბელგიის რევოლუცია. აჯანყებულებს ფრანგი ჯარის კაცე-
 ბი ხოცვენ, სურათს ქვეყანა ამუცნიერების დაბურთბანი,
 აღსანიშნავია მთელი სურათი ფილანდოფიური მინასის
 სურათებისა, როგორც მაგალითად: „ჟანასკნელი ზარ-
 ბახანი“, „აწმყო მომავლის წინაშე“, „ტოდება ქრის-
 ტესი“, „ნამდევანი ჟოჯოხეთში“ და მრავალი სხვა.
 ჩვენ იქნებ უურადლება არ მიგვაქცია ამ სურათისთვის
 და უბრალო შეცდომად გვედიანებინა იგი, თუ
 ხსენებულ ვერსაში შეცდომას გაისწორებდნენ. შირიქით
 მორიგნამერში უფრო მეტ სიუალებეს ვხედავთ. ნეტავ ვი-
 ცოდეთ რად დასჭირდა ან სურათის სახელების გა-
 დამახინჯება, ან მხატვრის სახელის შეცვლა. ვირცი და
 ვირუა ვგანებ ერთსა და იმავეს არ უნდა ნიშნავდეს,
 ხოლო ბელგიის რევოლუციას მეოცე საუკუნეში ვერ
 გადმოიტანდა, ფინაიდან როგორც ზემოდაც დაფინახეთ,
 თვით მხატვარს მეოცე საუკუნეში ვერ მიუღწევია და
 მესამოცე წლებში უკვე გარდაიცვალა.

დიოკენი.



კონიგშტეინის კოშკი, საცა დამწყვედებულია ღენერალი სამსონოვი და სხ.

სხვა და სხვა ამბები

★ **კახ. რკ. გზა** წარსულ ნომერში ერთმა ჩვენმა თანამშრომელმა აღნიშნა, რომ კახეთის რკ. გზას დიდი რემონტები დასჭირდება ყოველ წლიურად, რადგან ნიადაგი მეტად ფხვიერი არის და ინჟინერები კი არა ცდილან გზის შემოკლებას. საუბედუროდ ეს ცნობა წინასწარმეტყველური გამოდგა და უკვე ამბავი ჩამოვიდა რომ ჩალაუბანის უდელტეხილზე ჩამოწვა წვიმებისაგან თითქმის მთელი გორა და ლიანდაგი დახაფრა მიმოსვლა გაძნელებულია გადაჯდომ-გადმოჯდომით. მაგრამ ეს ამბავი, ჩვენის აზრით, მარტო პირველი მერცხალია და ზედ უარესები მოჰყვება თუ გზის პატრონებმა დროით არ მიაქციეს ყურადღება ამ გარემოებას და რაიმე საშუალება არ გამოიხატეს ფხვიერ ნიადაგის შესამაგრებლად.

★ **ამხ. „ქართლი“**. ქართლის მეხილეთა ამბანაგობას შეუერთდა რამდენიმე ათეული ამხანაგი ქუთაისის გუბერნიის იმ რაიონიდან, საცა მოდის უმთავრესად საგაზაფხულო ხილი. ეს მაჩვენებელი იმ სიმპატიისა, რომელსაც მოიპოვებს ხოლმე ყოველი საქმე საქიროებით გამოწვეული და ცხოვრების პირობებთან შეგუებული.

(უურნალ-გაზეთებიდან)

★ **ზოგიერთი ქალაქის მაჰმადიანებს** უნდა გაემართათ კონცერტები დაჭრილთა სასარგებლოთ ურალის გუბერნატორს აუკრძალავს იმ დრომდე, სანამ გამოირკვეოდეს — ყურანი აძლევს ამის უფლებას თუ არაო. ეხლა, როგორც გადმოგვცემს „სტები“, მაჰმადიანმა სამღვდელოებამ უბასუხა გუბერნატორს, რომ მაჰმადიანთა კანონები ნებასა რთავენ კონცერტებისას. (H. 3.) ყველა გუბერნატორი იცავდა აქამდის სახარებას, ურალის გუბერნატორი ესარჩლება ყურანს ეს რას ნიშნავს, ნეტავი გვაცოდინა?

★ **პოლონეთის პოლიტიკურ წრეებში** აზრად აქვთ მოწვევა კოპენჰაგენში სრულიად პოლონეთის კრებისა, პოზნანის, გალიციის და რუსეთის მხრის პოლონეთის წარმომადგენელთაგან — საერთო პოლონურ პოლიტიკის და სახელმძღვანელო ორგანოს დასაარსებლად. (H. 3.)

★ ამ რამდენიმე ხნის წინად „კავკ. სლოვოში“ ვინმე „T. K.“-ამ დაბეჭდა მორიგი ცილი, ვითომც

ბაქოს მაჰმადიანთა გაზეთები ერთთავად ჩივიან ტყვე ოსმალების ცუდ მდგომარეობაზედ. ამის გამო ერთი „მუსულმანი“-ი შეეკითხა „ხაკ. რეჩის“ საშუალებით თუ რომელ გაზეთში ამოიკითხა „კავკ. სლოვოში“ ეს საჩივრები და მოსთხოვა პასუხი. რასაკვირველია სომხურმა გაზეთმა პასუხი ვერ გასცა, რადგან ცილისწამებას მოკლევ ტყუასა და ტყუილს მოკლევ ფეხები აბია.

ეხლა, როგორც „ნოვოე ხაკ.“ გადმოგვცემს მუსულმანთა პრესა აუღელვებია „კავკ. სლოვოს“ უდიერობას, რომელიც ამ გართულებულ მდგომარეობის დროის გამო მეტად ბნელ სახეს იღებს. „ილდამი“ „სადაი ხაკი“ და „ილბალი“ ერთსულოვან პროტესტს აცხადებენ ასეთ თავხედობაზედ და დასძენენ:

„...დასა საზღვარი დაედს ასეთს სიცრუესა და ღირფობას. სირცხვილია! გეუთთ სარგებლობა იმ მდგომარეობით, რამ ამიერ-კავკასიის მუსულმანებს არა აქვთ თავისი გაზეთი რუსულ ენაზედ არ შეუძლიან დაიცვან თავი, გეუთთ მტრობის ჩამოკლება რუსებისა და მაჰმადიანთ შორის. (H. 3.)“

სომხურმა პრესამ ამ ომის დაწყებიდანვე დაპყრობა აღლო ეურნალისტური სიფაქიზისა, რომელიც არც წინად ჰქონდა მაინცა და მაინც განვითარებული და ტყუილად ჰგონიათ ჩვენს თანამოკალმეებს, რომ „კავკ. სლოვო“ სარგებლობდეს მაჰმადიანთაგან რუსული პრესის უქონლობით. თავხედობა ისეთი სენია, რომელსაც პრესა ვერ აღაგმავს, რომელ ენაზედაც უნდა გამოადიოდეს.

★ **გერმანელები და დაჭრილების მოვლა.** ინგლისური გაზეთები აგვიწერენ, თუ როგორ უფლიან გერმანელები დაჭრილ ჯარისკაცებს. თქმა არ უნდა, გერმანელებს მეტი დაჭრილები ეყოლებათ და მათი მოვლაც ფრიად გართულებული იქნება. მიუხედავად ამისა, გერმანელები სცდილობენ ყოველგვარი სიძნელე გადალახონ და თავიანთ დაჭრილებს ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინონ, რომ სიცოცხლეს დაუბრუნონ. ამ დიად საქმეში ყველა თანაბრად იღებს მონაწილეობას. დაჭრილებს ბრძოლის ველზე ჰკრებენ წითელი ჯვრის სანიტარები, სპეციალურად ამისთვის გამზადებულ ავტომობილებში აწვენენ და ისევე მიჰყავთ საველე საავადმყოფომდე, რომელიც მატარებელშია მოთავსებული. დაჭრილთა პოვნაში სანიტარებს ძლიერ ეხმარებიან გაწვრთნილი ძაღლები. სასანიტარო მატარებელი ჩვეულებრივ 50 ვაგონისაგან შედგება. აქედან 46 მეოთხე კლასისაა, თვითუფლს ვაგონში

აწვეწენ 15 კაცს. ერთი ვაგონი საერთაშორისო საზოგადოებისა დანიშნულია აფიკრებისათვის, ორი ექიმებისა და მსახურთათვის და ერთი აფთიკისათვის. მატარებელი დაპყავთ მეტად მძიმეთ, თითქმის ყოველ სადგურზე აჩერებენ, სადაც დაჭრილებს ეგებებიან მზრუნველნი და ბუქოად ცხელ საბძელ-საჭმელს აძლევენ, განსაკუთრებით ყავას, რძეს ხალეულობას და ძებვებს. მოპყრობა მეტად ყრთხილია, ნაზი. მსახურნი თუ გატრეშენი დიდის ყურადღებით ევლებიან მათ. დაჭრილთა ექიმობის მეოოდოც მეტად ყრთხილია. მიზანი ისაა, რომ დაჭრილ დაშავებული ადგილი გაუსალონ და ყოველი ღონე იხმარონ, რომ თავიდან ააცილონ ხელისა თუ ფეხის მოჭრა სიკვდილიც მეტად უიწვიათია. ძნელად რომ ასზე ორი გამოეცალიათ ხელიდან. დაჭრილებს უმთავრესად მარცხენა მხარი აქვთ დაშავებული, შემდეგ მარჯვენა და ბოლოს ფერდები და ფეხები. ხშირად თითებ დაწყვეტილსაცა ნახავთ, ანუ შაჯა გახვრეტილს. დანარჩენ ადგილს ნაკლებად აქვთ ჭრილობა გერმანელი ჯარისკაცები საავადსყოფოში იმ დრომდე რჩებიან, ვიდრე მთლად არ გასაღდებიან. ვიდრე მთლად არ განიკურნებიან, ისე არ უბრუნდებიან ბრძოლის ველს. ასიდან თითქმის 60 ისე გადიან ომში.

★ რა ხდება ოსმალეთში? „რეს. ვუდემისტ“-ში ვკითხვლობთ: „ფრანდ გაუფეხიანმა პირმა რამქელიც ამ დღეებში მოვიდა სტამბოლიდან და რამქელსაც ახლო კავშირი აქვს ახალგაზრდა ოსმალთა წრეებთან და სამინისტრატებში, შემდეგი გადმოგვცა: ზღაპარია თითქო ოსმალეთში რეფორმაციონური მღვდლარება იყოს. ოსმალთა მასა ბრძად უჭყრის იმას, რასაც ოფიციალური ტელეგრაფები აწვდის მას. ახალგაზრდა ოსმალნი ძლიერ აგიტაციას ეწევიან და ცამდი აჭყავთ ახლანდელი მთავრობა და გერმანელები. თითონ ახალგაზრდა ოსმალნი დარწმუნებული არიან რომ დარღანელი მიუყვადი სიმაგრეა; ისინი დესანტის გადასხმის განზრახვას ისე უტყევიან, რგორც აუსრულებულ შექარას და იმედი აქვთ თავისი სატანტო ქალაქს შეჩენისა. მათ ჯერ ბრძალა სწეუროათ და შერიგებაზე არც კი ფაქრობენ.“

★ წყალქვეშა ნავები ოსმალეთში. ათინიდან მასული ცნობით, მოკავშირეთა სავჯარო დაზვერამ აღმოაჩინა, რომ იზმიდის ყურეში ოსმალები დაჭარებით აწვობენ წყალქვეშა ნავებს, რომლებიც დამდიდი ცალ-ცალკე ხაწილებად ჩამოიტანეს გერმანიიდან. ნავების დანიშნულებაა მტრის სამხედრო ფლოტის წინააღმდეგ ორივე სრუტეში მოქმედება. (რ. გ.).

★ ბოსფორის სიმაგრეების იმედი აქვთ. ერთი პირის განცხადებით, რამქელსაც ახლო დამოკიდებულება აქვს სტამბოლის დიპლომატიურ წრეებთან, მანს ბურნასისა და ჯემას ფორტები ძლიერ გამაგრებულია. დიდაო საიმედოთ მიანითა ოსმალებს ფორტები: აზიის სანაპიროზე -- ანტოლი კავაკი და კონსტანტინოპოლისა, ნემეცების შეკადინუობათ ეს ფორტები ბაღვახეთის ომის შემდგ გადაკუადა და იქ მძიმე არტილერია დიდგა კარდა ფორტებსა ოსმალებს აქვთ აგრედვე ხელფენურად დაფარული სველე ბატარეები. (რ. გ.).

★ სმირნის ყურეში. 17 მარტს მოკავშირეთა ტრალერების ფლოტილიას, რაცა იგი სმირნის ყურეში შევიდა, უტბად ძლიერი სრალა აუტყეს აღმოსავლეთ-ფორტებიდან. ტრალერების მხლებელი კრეისერი და ორი დრედნოუტი ტრალერებთან ერთად გამოსცილდნენ ზარბაზნების სასრალ მანძილს და დაუმხეს შორს მსრალელი ზარბაზნები სიმაგრეებს. მალე ფორტები მაუუხდნენ, მაგრამ სროლა დაიწეს დაფარული ბატარეებიდან. სროლა საღამომდი გავრქელდა.

★ საძაერო გალაშქრების სამზადისში. პარიზიდან მასული ცნობებით, გერმანელები ამზადებენ ინგლისზე, ახალ თავდასხმას სავჯარო გეგებით. ახლ ცუბელინების ექსპედიციის მიზანი მარტო ლანდონის აწიკარა იქება.

★ წყალქვეშა ნავების მუშაობა. გერმანიის წყალქვეშა ნავმა „V 28“ სახელი გაითქვა თავისი მოქმედებით. მის სიღის კუნძულებთან კვლავ ჩასძირა ინგლისის ორი დიდი გემი „Flaminian“-ი და „Grovnig Gattle“. გადარჩენილი მუხდგაუკების გადმოცემით ეს ნავა 4 ზარბაზნითა შეიარაღებული.



თავადი პავლე

თავადი პავლე დღეს სამსახურის კაცია; უსწავლეულმა რუსულიც იცის, წერა-კითხვაც; ღმერთმა იცის სად და როგორ უწავლა. ბევრი რამ ახსოვს პავლეს, ათასი რამ მოაგონდება:

აი თავად სოლომონ დიდებამის ნახევრად განადგურებულ, გაჩინაგებულ ოჯახს უყურებს, ძველ დიდ თეთრ ოდას ნახევარი სარბიელი ჩამოლობია, გატალიანებულ ყიბესაც ორი სამი საფეხური აკლია დავაი პავლეს ავდრიანს დღეში; როგორც უნცროსს წევრს ოჯახისას ხშირად უხდება ამ მინგრულ-მონგრულ ყიბეებზე ჩარბენ-ამორბენა.

პავლე, წყალი ნიართვი კნენა დედას, რომელიც სრულად მოკეცილა განიერ ტახტზე, პავლე ბუხარს შეუკეთე, პავლე ჩიბუხი გაუბერტყე დედას, სწრაფად სასიამოვნოდ თორემ ეს ჩიბუხის გრძელი ტარი ღონივრად მოხვდება პავლეს.

სამხარეულოში მიეშველე თეკლეს უნცროს დას რომელიც დღეს მხარეულის მოადგილეობას ასრულებს.

თავადი სოლომონი გლახა გუნებაზეა, გაჩქარებული ბოთლსა სცემს აივანში, მის ქვეშ იატაკი იზნიქება; სოლომონი განზე იფურთხება უგემურად, სულ ასე დადის და რალაცას თავისთვის ბუტბუტებს; ოჯახშიც აგრე რიგად არ ყრიდებიან მას; ბატონურ ცეცხლს ვერ აბნევს, ცოტა ქკუაზე უნდა იყოს მხიარულად.

ამინდს ცხვირ-პირი ჩამოსტირის, წვიმა სტრის თითქო ცას ცრემლები ეონავსო.

ახალგაზრდა ალექსანდრემ შემოაგდო ეხოში ცხენი. პავლე, ძმას ცხენი ჩამოართვი, თავის ადგილზედ დააბი, საკვები დაუყარე, გაწმინდე, უნაგირს, აღვირს თავისი ბინა მიუჩინე.

„პავლე, ღორებს მოტეხილი ღობე სულ ჩაუთელიათ და ბოსტანს შესევიან, ჩქარა მიეშველე.

— ბიჭო სადილი მზად არ არის? — მოისმის აივნიდან ბრძანება. კნენა კატო ზემოდან იძლევა განკარგულებას.

— ბატკანი კარგა შესწვით, ინდაურს გემრილი გარო დაუყენეთ, როგორც მე მიყვარს, უშუშარი ღობი ჩემს წინ არ მოიტანოთ — და ასე; ძვირად თუ ჩამოსცდება კიბეებს მისი ფეხი, ძვირად თუ დაათვალიერებს სად რა კეთდება, სად რა ხდება, ძვირად თუ შეიხედავს სამხარეულოში; იშვიათად მისცემს თავს ანგარიშს, თუ ყოველ დღიური ბატკანი, გოჭი, მსუქანი დედლები საიდან მოჰყავთ; ნუ თუ ამდენს ზრდის ახალგაზრდა „კნენა“ პირ დაუბანელი თეკლე? შევიხედოთ სამხარეულოში: აგურებ აყრილი კერა, კუთხეში სახურავ გადაგლეჯილ სახლს ბლომად ჩამოსდის მადლიდან წვიმა.

ქვაბები, ქოთნები, თაბახი, როდინი, ჯამი, თეფშები, წიწილების ბუდე, სიმინდის საფხვენი ძარი, პირ მოტეხილი კოკა, თავდაღმა დამხობილ გოდორში დამწყვდეული ბატი, მოჯამაგარის ძველი ლოგინი, ერთმანეთშია არეული, ამათ შორის ტრიალებს თმა გაჩეჩილი ცხვირ მომურული თეკლე; ღვთის წინაშე მკლავები კარგა აქვს დაკაპიწებული ხელებსაც ხშირად იბანს, სუფთა გოგოა და უნდა

ყველაფერი წმინდათ გააკეთოს. დილიდამ საღამომდის აქ დატრიალებს, თუ მოასწრო დილას ერთ ცოცხს გამოუსვამს ოდას მაგრამ თუ ვერ მოასწრო და ბატონებმა ადრე ისურვეს საუზმე რომელიც უნდა შესდგეს ან ცხვირის მწვადისაგან ან ღორის მუუუჟისაგან ან ახალის ქათმებისაგან, სულუგუნებით თუ ერბო-კვერცხებისაგან ამათ უნდა ამკობდეს ყვითელის ცხელ ცხელის მჭადებით და წითელის ალადასტურით, მერე სადილს უნდა შეუდგეს და ვერც კი მოასწრებს სადილის შეჭმას რომ ვახშამიც თან მოსდევს და სადღა რჩება თეკლეს დრო სახლები ასუფთავოს, თმა დაივარცხნოს, პირი დაიბანოს და თავის პირად მოთხოვნილებაზე იზრუნოს, ყველაფერს უარსა ჰყოფს, ყველაფერს გვერდს უვლის, ოღონდ თავის დედიკონე კმაყოფილი ეყოლოს, ოღონდ თავის დედიკონამ წყალობის თვალით გადმოხედოს, ნაშრომი დაუფასოს. და ეს რით გამოჩნდება? შემწვარს გოქს ან ბატკანს ფეხებს წაამტვრევს, როცა ქათმის ფეხებია თავ-კუქსაც წაუმატებს და მისცემს ხელში — პავლესაც გაუყავი, ეტყვის ქალს და გაისტუმრებს, დანარჩენი თეკლემ იცის. ქვაბი ტყუილად ხომ არ დასტოვა ცეცხლზე ნაქას ორი თვალი რო აუნაცვლა, ღობი მოინარჩუნა შიგ. და იმ დროს როცა დედიკონა, ბაბიკონა, ძამიკონები ალექსანდრე, ელიზბარი და ნიკო შეექცევიან ოდაში სადილს, სიცოცხლე გაქვთ ხშირად ეს დავაყვაცებული შვილები და მასთან ქმარიც შეჭყურებენ პირში კნენა კატოს, როგორ სისწრაფით მისცურავს მის პირში ლუკმა ლუკმაზე, როგორ მოხდენილად იხრება დანა აქეთ-აქით, ითლება ბატკანი, პატარავდება და კნენას წინ ძვლების მთა იდგმის.

დიახ, ასეთია თეკლეს დედიკონე და ეხლა ესენიც ორივე დაძმა, ფეხზე მდგომნი ქვაბიდან კორტნიან ცხელ ღობს, მსხვილ-მსხვილ ლუკმებს ატანენ გოქის დამხმარ ფეხებს. მორჩენ, ისადილეს, თეკლემ მოავლო თვალი იჭაურობას, აბა რა აქვთ გასაკეთებელი:

— ბიჭო, პავლე, ვახშმისთვის რა ვიფიქროთ, ეს ქათმები ამოვსწყვიტეთ, გოქებსაც ხომ სინსილა გაუწყვიტეთ. ახლა ცოტა თუ არ წაპკარი შენებურად გლახა დღეში ვართ.

— წაპკარ-წამოპკარი... მა, დალოცვილები ზეიდან იძლევიან ბრძანებას და იმას კი არ კითხულობენ, რა ძვირად უჯდება პავლეს ერთი ბატი ან ინდაური.

ქათამი უფრო ადვილია, წაავლოვ კისერში

ხელს და გაგუდამ მაგრამ ეს ოხერი ბატები როდენ-
იწყებენ ფრთების ქნევას და ბათქუნს, დაღეჭი მაშინ
თუ ბიჭი ხარ.

— ძაან მარჯვე კი ხარ, სიდანაც არ მეგონოს,
გამიჩენს რამეს ჩემი ძამიკო.

— იცი შენ რათ დამიჯდა ამ ბატის საბუდ
რიდან გამოთრევა? დიდხანს კი მყავდა თვალში, თე-
დორიი კაჟის არი; საბატე ზე სახლზე აქვთ მილო-
ბილი, რავარც იყო ჩვევარე ძაღლს, მივაწიე საბა-
ტესთან, გავაღე კარი, ვცადე ჯოხით გამოვრეკო
წინ შეთქინ, მარა ეს ტურის დასაქმელები ისე მიეკ-
რენ ერთმანეთს...

ეპ პავლე, გამიარა შრომამ ამაოდ თუ არ
შეძვერი შიგ, ჩვეიჩოქე მუხლებზე, დავლუნე თავი
გავხობთი და შევძვერი, სწორეთ რაცხა დროს წა-
ვავლე ხელი კისერში გამიგო ძაღლმა და მომენტო.
გამევიდა ვარეთ თედორიი შეუსიანა ძაღლს, ბა-
ტებმა ცატეხეს ალიაქოთი. პირდაპირ საბატისაკენ
გამოიწია პატრონმა, უცფათ მივიხურე კარი, გა-
თავდა პავლე შენი ვაჟკაცობა ახლა კი გამობაი-
რალდი შეთქი, მარა ღმერთი შემეწია პატრონის
ხმის გაგონებაზე ბატები ჩაჩუმდნენ, თედორიამაც
რაკი კარი დახურული ნახა რას იფიქრებდა თუ
შიგ ვიჯექი ბატებთან ერთად; ერთი-ორი შოუქაქა-
ნა და თავის ქექვიფ შებრუნდა სახლში. დაწოლა
კი ვაცალე და გიყვარდეს პავლე მოკურცხვლა, ისე
მოუსვი რო გონია ბედაურიც ვერ დამეწეოდა.
ნელა კი არ გამიღია კარი რაც ძალა მქონდა ვეცი-
კარს, ერთი შევლმუვლე საწყალ ძაღლს მგელათ
მოვეჩვენე. პირველათ დეიბნა, როცა გონზე მევიდა.
პავლე სამშვიდობოს იყო. — ასეთს ამბებს ხშირად
უამბობდა თეკლეს. კნიახს და კნეინას კი შესდიო-
და შემწვარ-მოხარშულები

პირველად იქიდან დაიწყო ხეიძის ვენახში რო
ჩაძვრა, ყვითელმა ყურძენმა რომ შეაცდინა ის და მი-
სი ამხანაგები მაგრამ დედამ რო ნადავლით კარში
არ გააგდო და მოუწონა კიდევ ნოყიერი ხილის
მოტანა ამ ნ წაახლისა, ის ზაფხული ხილის შოვნა
ში გავიდა, ზამთრისთვის პავლე უფრო გამოწაფუ
ლი შეიქნა და რაკი ხილი არსად იყო წვრილ ფე
ხობას გაუბედა ხელის წაპოტინება მაგრამ არც თუ
ოჯახს დააკლო თავისი ხელობა. პატარა ბიჭი თუთუ-
ნის წევას შეეჩვია, პაპიროზი უფრო მოსახერხებე-
ლი შეიქნა და პავლემაც ზამთრის გრძელ დამეებში
ცეცხლის პირში დაფშენა ჩუმად გადმოტანილი სი-
მინდი, მეორე დღეს მელუქნეს მიუტანა და ნაცვ-
ლად პაპიროზები მიიღო. ასე მიდიოდა დრო, დიდ
ოდას უფრო უღებებოდა ბოძები, კიბესაც თითო
ოროლა საფეხური აკლდებოდა, უზარ-მაზარი მა-
მული დღითი დღე ქუცმაცდებოდა დღითი დღე
იჭრებოდა ნაჭრებად, ხან ერთი მეზობელი შეიყიდ-
და ხან მეორე, პავლესას კი ხშირად იყო პარიპა-

რალე. პავლეც დაძვრებოდა მეზობლებში. მეზობ-
ლები ჩურჩულებდნენ.

— ამ გასაწყვეტმა გაგვაწყალო ქობისა და ბა-
ტისაგან“.

მაგრამ მაღლა ვერას ამბობდნენ ვერ-ჯერო-
ბით კიდევ დიდი კაცი იყო სოლომონი, ხშირად სა-
დილობდა მათთან მაზრის ბოქაული თავის მხლებ-
ლებით, ვინ დაიჯერებდა რომ ასეთს — ჯახში ნაბა-
ცაციარი შევიდოდა? იცოდა მხოლოდ მინგრეულ-
მონგრეულმა სამზადმა კერამ, თეკლემ, მაღლა ღმერთ-
მა და ქვეით პავლემ.

პავლეს ისიც კარგად ახსოვს. უფროსი ძმა
ალექსანდრე როგორ ღორივით გამოუხახეს თავად
მას... შექვიფებულმა ყმაწვილ კაცებმა, ნახა ხის
ძირში რო ესვენა სამს დღეს, სანამ ადგილობრივ
არ მოვიდა გამომძიებელი მიცვალებული ადგილიდამ
ვერ დასძრეს. ახსოვს როგორ გულ-გრილად მივი-
და დედა: „უგემური შეილი იყავ და უგემურადვე
ჩაკვდიო ამბობდა. ახსოვს მეორე ძმა ნიკო რო ვი-
ლასაც ჩაესიდა, ბევრი რამ ახსოვს. დრო გავიდა,
ბიჭი შეღერდა საცოლეთ, უღვაშები აუმწვანდა,
თვალებმა ელვარების უმატეს და გულმა ძგერას. ნე
ზობლის ლურჯ თვალება ტასიკოს მაღლიანის თვა-
ლით გადაჰხედა თავადმა მაგრამ ამაოთ; თუ კნეინა
კატოს არ ეკადრებოდა მაქსიმელა მძახლად არც თუ
მაქსიმელას ჰქონდა აზრად მისი დამოყვრება.

— რა ჩემი საქმეა შე წუწყო ძამა ოხერო, თავ-
ვადის შეილის დამოყვრება და მერე მაგისანაი თავა-
დი შეილის. ცხვირს ავალღეტ მეორეთ რო გვევიგო-
ნო, — დაუბრიალა გოგოს თვალები.

ტასიკო სკივრის თავთან მობუხულიყო და შუა-
მავალ დედას შეჰყურებდა: — „შენ მიშველე არ მო-
მკლასო“.

— რაცხა ორი დღეა სული მევითქვი: დღე და და-
მე გასწორებული მაქ კაცს და ახლა მაგენმა უნდა
ამომხადონ სული? რამ დემალია ჩემი ტოლი კაცი?
შავ ლორას შავი კერეშანიე არ მეეშლება, არ გა-
მაგონოთ მორეთ, არ გამაგონოთ. გასცა ბრძანება
და გავიდა სახლიდან. კნეინა, კატომ კი თმებითაც
დაითრია საწყალი პავლე, კიდევ კარგი რო უღვა-
შები არ ჰქონდა მოზრდილი თორემ იმათააც და-
აწიწქნიდა.

ახსოვს როგორ ფეხ აკრეფია ჩამოვიდა სახლი-
დან როგორ გამოემშვიდობა ყველაფერს და გადმოვი-
და ეზოდან. მეორე დღეს თეკლემ მისი მარჯვენა
ხელი პავლე ველარა ნახა.

შემდეგ გაიგო პავლემ რომ თეკლე ვილაც მო-
ჯამაგირეს გადაჰყვა ფარულად და ჯვარი დაიწერაო.
დალოცვილი დრო იყო, პასპორტს არავინ

კითხულობდა. პავლე ბათომში მოხვდა; რკინის გზის უფროსს შეაფარა თავი, სამხარეულოს მოვლა-გაძღვლა კარგა შეეძლო და უფროსსაც შეუყვარდა მხოლოდ დიდებადის ნაცვლად დიდინადად იცნობდნენ, ვთაკილებოდა თავადის შვილს მხარეულობა.

შემდეგ უეცრად მოითხოვეს, სასაღდათო შეხვდა კენჭით წაიყვანეს საღდათში ოთხი წელი იქ დაჰყო. იქ ერთხელ მოხვდა წყებლა ხელ-მაკვიტობისათვის. ის იყო და ის პატიოსან კაცად იქცა, გაუღვიძა კეთილმა გრძობამ. ერთს ხანს დადიოდა თავდაბრილი, ამხანაგებისა რცხვენოდა. საღდათობის შემდეგ ადვილად მიიღეს რკინის გზაში და შეისრედან დაწყებული დღეს პირველ კლასის „კონდუქტორია“ სუფთად ჩაცმული, თავაზიანად ექცევა მგზავრებს „ბარინ“ და „ბარინა“ ხეპირად იცის, სამსახურის კაცია და ცოლ შვილებული, სახლიცა აქვს საკუთარი. თბილი ბინა, ევროპიული სამხარეულო და წითელი იატაკები, ამ წუთას მუშებს ადგა თავზე და უნდა შეაკეთებინოს სახლის ყურე, ბედნიერად გრძობს თავს მშვიდისა და წყნარის ცხოვრებით.

მ. გაჩიყული.

რუსული პრესა

„რუსკ. ვედ.“ 65-ე ნომერში მოყვანილია წერილი ცნობილი დიონეოსი, ხსენებულ გაზეთის ინგლისური კორესპონდენტისა. წერილი ფრიად საინტერესოდ არის შედგენილი და ბევრს საგულისხმიეროს შეიცავს, როგორც საზოგადოთ, ისე კერძოდ ჩვენთვის.

პატარა „ფილოსოფიური“ შესავლის შემდეგ, საცა დიონესს მოჰყავს რამდენიმე აზრი — რომ ადამიანი ყველა ჭირს შეეჩვევა ხოლომე, იგი აღნიშნავს თუ ინგლისიც როგორ „შეეჩვია“ დახოცილთა და დაქრილთა ვრცელ სიებს, დიდძალ ქალებს და ბავშვებს ძაძებში, ხშირ ანდერძებს მგზავრებისას და სხ. და სხ. ყველა ეს უჩვეულო ამბები რუტინად გადაიქცაო, მაგრამ ინგლისელები მაინც მუდამ ფიქრობენ: როდის გათავდება ყველაფერი ესაო.

— იგი დადგება მაშინ, როდესაც მიღწეული იქნება ომის მიზანი.

— და როგორია ეს მიზანი?

— აღდგენა ბელგიისა, დაბრუნება ელზასისა საფრანგეთისათვის, უფლებანი პატარა ერებისა და დანგრევა პრუსიის მილიტარიზმისა, — ამბობს ინგლისის მთავრობის სახელით პრემიერი: „უნდა მკაფიოდ იყოს ჩამოყალიბებული ყოველი უფლება ერისა და ნამეტნავად სამართლიანი მოთხოვნილებანი პატარა ერებისა თავისუფლებისა და საკაცობრიო კულტურის შექმნაში მონაწილეობაზედ, ამბობს რეზოლუცია, მიღებული მთელ ინგლისელ თავისუფალ ეკლესიების სამღვდელოებისა და მრევლის კრებაზედ მანჩესტერში. — აუცილებელია აღდგენა

ტრაქტატების სიწმინდისა და იგინი უზრუნველყოფილნი უნდა იყვნენ (გარანტია) დიდ სახელმწიფოთა უკანონო მოპყრობისაგან. ქვეყანა უნდა განთავისუფლდეს განმანადგურებელ მილიტარიზმისაგან, რისთვისაც საჭიროა ავტორიტეტით და ძალით აღჭურვილი საერთაშორისო სასამართლო“; ასე ლაპარაკობს თავისუფალი ეკლესია ინგლისისა.

ახლად აღორძინებული „დემოკრატიულ კონტროლის კავშირი აღნიშნავს ოთხს მუხლს: 1) ომის შემდეგ ტერიტორია გადადის ერთი სახელმწიფოსაგან მეორესთან მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ ტერიტორიის მცხოვრებთა უმეტესობა გამოსთქვამს სურვილს პლებისციტის საშუალებით. 2) არავითარი ხელშეკრულება არ შეიკვრის პარლამენტის ნებადაურთველად. 3) საერთაშორისო პოლიტიკას აწარმოებს ინტერნაციონალური საბჭო. 4) საერთო აყრა იარაღისა.“

ამას მოსდევს კიდევ რამდენიმე კარგი სურვილი, გამოთქმული სხვა და სხვა ორგანოსა და ჯგუფისაგან, წინასწარმეტყველება რენესანსისა და ბოლოს ისევ საკითხი ომისა:

„... როდის გათავდება ომი?“ მოუთმენლად კითხულობს ყველა. ამას პასუხს აძლევს ავტორი ერთი ბროშურისა: თუ მოკავშირენი შემოდგომამდე გადამწყვეტ ბრძოლას მოიგებენ დასავლეთ ასპარეზზედ, ე. ი. თუ გერმანელები ისე დამარცხდებიან, რომ იძულებულნი იქნებიან დასტოვონ ბელგია, ან დაიხიონ მეზას წყლამდე მაინც, მას აღარ ექნება საშუალება ათამაშოს სახელმწიფონი ზავზედ ლიპარაკის დროს. ამ შემთხვევაში ზამთარი მოგვიტანს ტრაგედიის დასრულებას თუ არა, სერიოზულ ლიპარაკს მაინც. თუ ბრძოლა გადამწყვეტი არ იქნება და ზამთრამდე შეინარჩუნებენ გერმანელები ბელგიას და არდენებს, მაშინ არავითარი საუუძველი არა გვაქვს ვიფიქროთ, რომ ომი 1915—1916 წლის ზამთარსაც არ გაგრძელდება. თუ ბრძოლა დასავლეთზედ ცუდ შედეგებს მოუტანს მოკავშირეთ, მაშინ ომი 1916 წლის გაზაფხულამდე გაგრძელდება.

ყოველ შემთხვევაში — ამბობს ავტორი ბროშურისა, — ომი გათავდება უფრო ადრე, ვიდრე მოკავშირენი გადავლენ რეინს.

ასე ფიქრობენ თურმე ინგლისში.

ადრე, ვიდრე მოკავშირენი გადავლენ რეინსაო, რუსეთის გატაცებული ლიბერალები კი გაფართოებას ანაცვალბებენ შინაურ სიმკვიდრეს. ორ მოკავშირეთაგან ვინაა მართალი ბოლოს გამოჩნდება, დღემდის კი ინგლისის პოლიტიკა მხოლოდ აძლიერებდა ინგლისს.

სამგლოვიარო წერილი

დიდათ პატივცემულო ბატონო რედაქტორო! უმარჩილესად გთხოვთ თქვენ პატივცემულ ჟურნალში, ადგილი დაუთმოთ, და სამძიმარი გამოუცხადოთ ქართველ საზოგადოებას ათონელი ქრ. ძმებისაგან!

ათონელ ქართველ მოღვაწეთა ძმობა უერთდება, ქართველ საზოგადოების მწუხარებას, განსვენებული ჩვენი ძვირფას სამშობლოს შვილის აკაკი წერეთელის დაკარგვის გამო. 1 მარტს ვითარცა ვცანით ჟურნალი კლდის საშვალეებით. შემდეგ ლამის თვეისა და საღმრთო ლიტურგიისა, პანაშვიდი გადახდით იქმნა საკრებულოთ განსვენებულის სულის მოსახსენებლად, ყოველთა ძმათა დასწრებით, და მრავალი უცხო ტომის მოღვაწენიც დაგვესწრნენ.

ამ ღვთის ვედრების დამსწრე, მღვდელ-მონაზონი ილია ათონელი.

პროვინციის ცხოვრება

საჯავახოს მხარე. საჯავახო მოზრდილი მხარეა. მცხოვრებთა რიცხვი უდრის 1,500 კომლს. ხალხი მეურნეობას მისდევს. გაფრცელებულია მებაღე-შემეობაც. სწავლა-განათლების მხრით საჯავახო მოწინავე მხარედ ითვლება. არსებობს სამინისტრო და სამრევლო სკოლები, წერილი კრედიტის ამხანაგობანი და რამდენიმე სამკითხველო.

როგორც გასულ წელს, წელსაც შიმშილობამ იჩინა თავი. შეიძლება ითქვას, რომ წელს იგი უფრო მძვინვარეა, ვიდრე შარშან. სამწუხაროდ თუ მაშინ მთავრობა საჯავახოელებს დაეხმარა და სიმინდი მოაწოდა, წრეულს მას პატრონი აღარავინ შერჩა. მართალია, ახლა ხან ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლმა გამართა თათბირი შიმშილობასთან საბრძოლველად, მაგრამ რეალური ნაყოფი ამ თათბირისა ჯერ არვის უნახავს. ხალხი კი მას ჰსასოებს, ელის, რომ თვით ჩვენი ხალხი მაინც ილონებს რამეს თუ მთავრობის ხელიდან არა გამოვა რაო. საქმე კი დახანებას არ ითხოვს. დღევანდელ შიმშილს რომ გაუძლოს „ადამიანმა“ საქი-

როა, მომავალი მაინც როგორმე უზრუნველ ჰყოს. ეხლა კი ხვან-თესვის დროს, აქაურებს არა თუ სათესლე სიმინდი, თვით დღიურ საზრდასთვისაც არა აბადიათ რა. ამასწინად ერთ სოფელში ერთი ფუთი სიმინდისთვის კინალამ ერთმანეთს შეეხრცა, რორი საუკეთესო მეზობელი.

შიმშილობას დაერთო სხვა უბედურობაც: ამ ეზოდ გაფრცელებულია სახადი. მრავალ მსხვერპლთა შორის აღსანიშნავია მღვდელი ვას. ხუნდაძე, ბ. სილოვანის უბედურობა ის გახლავთ, რომ ამ სენთან უპატრონოდ დარჩენილ სოფლებს ვერ შეუძლიანთ შებრძოლება. მართალია, არიან ფერშლები, მაგრამ მოგეხსენებათ, პროვინციელი ფერშლები ხშირად მოკარაბადინე ექიმბაშებზე არა ნაკლებ საშიშარი არის. ეს შეიგნეს თვით სოფლელებმაც ამიტომ ისინი ირჩევენ შიშმართან დაბის ექიმს, მოდიან სამტრედიაში, მოჰყავთ თან ავადმყოფი. უამინდობაც რომ არ ვიანგარიშოთ უგზობა და მანძილის სიშორე, მასთან ჩვენებურ ურმის ნქლრევა საკმარისია, რომ ავადმყოფის მდგომარეობა გაავდეს და საშიში შედეგიც მოჰყვეს. ხშირად კიდევ ისეთი მაგალითებიც მომხდარა, რომ ავადმყოფს ექიმი არ დახვედრია ბინაზე და ისევე უკან დაუბრუნებიათ უბედური. არა, ჩვენ გვესმის საზოგადო უბედურების სიმძიმე, რომელიც მთელს საქართველოს დაგვატყდა თავს, მაგრამ უპატრონოდ დარჩენილ პროვინციის მდგომარეობა და განსაკუთრებით საჯავახოსი, ყოველისფერს აღემატება. რამდენად უმჯობესი იქნება, თუ ჩვენი ჟურნალ-გაზეთობა და მით უმეტეს ჩვენებური დაწესებულებანი თუ ამ „კუმბარათა“ საშინელებაზე ილაპარაკებდნენ და ამოქმედდებოდნენ, ვიდრე გერმანელთა თუ ინგლისელთა ჯავშნოსნების სიაგვარგეზე და ხარბაზანთა სიძლიერეზე იმსჯელებდნენ. შიმშილი და ისიც მშრომელი მზარის თავს ისეთ მძვინვარე ავადმყოფობის აჩრდილი, როგორიც ქირი და სახადია, ვგონებ, ყოველ დუმიანს ხარბაზნებზე საშინელებას უნდა წარმოადგენდეს...

ი. იმერელი



რედაქტორ-გამომცემელი
რ. გაბაშვილი.